საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო

შპს მზეკაბანი 2 რუსთავის საერო სკოლა

416306143

მის: 3700, ქ. რუსთავი, გ. ნიკოლაძის ქ. 16ა

ელ.ფოსტა: mzekabani@mail.ru

tel:(0341) 24 19 94

Ministry of Education and Science GEORGIA

LTD "Mzekabani 2" Rustavi secular shool

416306143

3700 Rustavi #16a g.nikoladze street.

Email : mzekabani@mail.ru

Tel: :(0341) 24 19 94

01.11.2024

ბრძანება N01/111

შპს მზეკაბანი 2 რუსთავის საერო სკოლის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე, 53-ე, 54-ე, 61-ე მუხლების შესაბამისად

ვბრძანებ

1. დამტკიცდეს შპს მზეკაბანი 2 რუსთავის საერო სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი;
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს 2023 წლის 2 სექტემბრის დირექტორის ბრძანება;
3. ბრძანება შესასრულებლად გადაეგზავნოს HR მართვის და საქმისმწარმოებელს;
4. ბრძანება ძალაში შედის გაცნობისთანავე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს 1 თვის ვადაში ქ. რუსთავის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის №6).

ბელა გოცირიძე
დირექტორი

დამტკიცებულია:
შპს მზეკაბანი 2 რუსთავის საერო სკოლის დირექტორის
2024 წლის 01 ნოემბრის N01/111 ბრძანებით

შპს მზეკაბანი 2 რუსთავის საერო სკოლის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს **შპს მზეკაბანი 2 რუსთავის საერო სკოლაში** (შემდგომში - სკოლა) სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესს.
1.2. წინამდებარე წესის მიხედვით განსაზღვრული წესები ვრცელდება სკოლის ყველა მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ სივრცეებზე, მათ შორის სასწავლო და სამუშაო სივრცეებზე.

მუხლი 2. სანიტარულ- ჰიგიენური ნორმების დაცვის პროცედურები

2.1. სკოლაში ყოველდღიურად ლაგდება სველი წესით სოდის, საპნის ან სინთეზური სარეცხი საშუალებების გამოყენებით.
2. ფოიეები, საკლასო ოთახები და სხვა სასწავლო და დამხმარე ოთახები ლაგდება მეცადინეობების დამთავრების შემდეგ, გაღებული ფანჯრების და ფრამუგების მდგომარეობაში. თუ სწავლა მიმდინარეობს ორცვლად, ოთახები ლადგება 2-ჯერ, ირეცხება იატაკი, იწმინდება მტვრიანი ზედაპირები (მაგიდები, სკამები, ფანჯრის რაფები, გამათბობლები დასხვა).
2.3. თვეში ერთხელ ტარდება შენობების გენერალური დასუფთავება არა მარტო სარეცხი საშუალებებით, არამედ სადეზინფექციო ხსნარების გამოყენებით. ამისათვის გამოიყენება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ რეგისტრირებული სადეზინფექციო საშუალებები.
2.4. ფანჯრები იწმინდება დაბინძურების შესაბამისად, მაგრამ არანაკლებ წელიწადში ორჯერ მაინც. სანიტარიული კვანძი, კვების ბლოკი და სამედიცინო კაბინეტი ექვემდებარება ყოველდღიურ დასუფთავებას სადეზინფექციო საშუალებების გამოყენებით.
2.5. სანიტარულ-ტექნიკური აღჭურვილობა სუფთავდება ყოველდღიურად. უნიტაზის დასაჯდომის, ჩასარეცხი ავზისა და კარების სახელურები ირეცხება ცხელი წყლით და სარეცხი საშუალებით. ნიჟარები, უნიტაზები ირეცხება ჯაგრისით სარეცხი-სადეზინფექციო საშუალებების გამოყენებით მათ ეტიკეტზე მითითებული რეკომენდაციების შესაბამისად.
2.6. სანიტარიული კვანძის დასუფთავებისათვის გამოიყენება ამ მიზნებისათვის განკუთვნილი, სათანადოდ მარკირებული ინვენტარი, რომელიც ინახება

განცალკევებით და ექვემდებარება დამუშავებას ყოველი სამუშაო დღის დასრულების შემდგომ.

2.7. სკოლის სათავსების დასუფთავებისათვის გამოყენებული საყოფაცხოვრებო ქიმია და სადეზინფექციო საშუალებები, ინახება სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ, ჩაკეტილ სათავსში/კარადაში, პირვანდელი შეფუთვით, რათა შესაძლებელი იყოს დიფერენცირება მარკირების მიხედვით და არ იყოს ხელმისაწვდომი გარეშე პირთათვის.

2.8. კვების ბლოკი სუფთავდება მოსწავლეების, თანამშრომლების ყველა გასვლის შემდეგ (საუზმე, სადილი, სამხარი). საკვების მიღების დასრულების შემდეგ მაგიდები ექვემდებარება რეცხვას ცხელი წყლით და სარეცხი საშუალებებით (საპონი, სოდა დასხვა).

2.9. კვების ბლოკის ჭურჭელი რეცხვის წინ თავისუფლდება საკვების ნარჩენებისაგან, შემდგომ კი ირეცხება ჯაგრისით ცხელ წყალში (>500C) და სარეცხ საშუალებებში (აბაზანის ერთი განყოფილება). ამის შემდეგ ჭურჭელი თავსდება სადეზინფექციო ხსნარში. ბოლოს კი გაივლოს გამდინარე ცხელი წყლით (650C) და გაშრეს სპეციალურ საშრობ კარადაში ან თაროებზე.

2.10. ეპიდემიოლოგიურად არაკეთილსაიმედო პერიოდში ჭურჭლის დასუფთავების ეტაპების რიგი იცვლება: საჭმლის ნარჩენებისაგან გათავისუფლებული ჭურჭელი თავსდება სადეზინფექციო ხსნარში, იხარშება 2%-იანი სოდის ხსნარში – 15 წთ-ის განმავლობაში, ამის შემდეგ ჭურჭელი ირეხება გამდინარე ცხელი წყლით და შრება.

2.11. ეპიდემიოლოგიურად არაკეთილსაიმედო პერიოდში ყოველდღიურ დეზინფექციას ექვემდებარება ყველა ოთახი, სადაც გამოვლინდა დაავადების შემთხვევა. სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარების ხანგრძლივობა კერაში დამოკიდებულია ეპიდსიტუაციაზე საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრების მითითებების შესაბამისად, დაავადების კერის ლიკვიდაციამდე.

2.12. ეპიდემიოლოგიურად არაკეთილსაიმედო პერიოდში კერაში დეზინფექციის დროს ძირითადი ყურადღება ექცევა იმ ნივთების დამუშავებას, რომლებიც გადამწყვეტ როლს თამაშობენ ინფექციის გადაცემაში (ხშირად შეხებადი ზედაპირები, კარები, კარისა და ფანჯრის სახელურები, მაგიდის ზედაპირები). ჰაერ- წვეთოვანი ინფექციის გავრცელების პრევენციის მიზნით ხშირად ნიავდება საბავშვო ოთახები/კლასები (ყველა შესვენებაზე), იწმინდება მტვრისაგან, სუფთვდება სველი წესით. ნაწლავური ინფექციების გავრცელების პრევენციისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჭურჭლის, სასადილო მაგიდების ზედაპირების, სანიტარიულ-ტექნიკური აღჭურვილობის დეზინფექციის მართებულად ჩატარებას.

2.13. სკოლის ტერიტორია ყოველდღიურად სუფთავდება ხოლო ნაგავი გროვდება და იყრებ ეზოში არსებულ თავსახურიან ნაგავშემკრებ კონტეინერებში, რომელიც შენობ(ებ)იდან არანაკლებ 25-30 მეტრის მოშორებითაა განთავსებული.

2.14.ყოველდღიურად ხორცილედება მყარი ნარჩენების შეგროვდება ოთახებში, სამზარეულოში, ადმინისტრაციულ და სხვა სათავსებში და უსაფრთხო გატანა შენობიდან.

2.15. ნაგვის კონტეინერები იცლება მათი 3/4-ით გავსებისთანავე რათა არ გადაივსოს.

2.16. ნაგვის ლპობისა და ხრწნის თავიდან აცილების მიზნით, ყოველდღიურად ხდება კონტეინერების გატანა სკოლის ტერიტორიიდან, განსაკუთრებით, წლის თბილ პერიოდში. ყოველთვიურად, კონტეინერები ირეცხება და უტარდება დეზინფექცია (10%-იანი ქლორიანი კირის ხსნარით 60წთ-ის განმავლობაში, ან სხვა ნებისმიერი შესაბამისი დეზინფექტანტით).

2.17. სკოლაში უზრუნველყოფილია ნახმარი წყლების მოცილება/არინებით, სეპტიკური ავზები იცლება დროულად და უსაფრთხოდ.

2.18. სკოლის ადმინისტრაციის ორგანიზებით, სპეციალიზებული სამსახურის მეშვეობით, ტარდება ნარჩენების კონტეინერების განთავსების ადგილის, ასევე საწყობებისა და სარდაფების პერიოდული დამუშავება მწერებისა და მღრღნელების გამრავლების საწინააღმდეგო საშუალებებით (დეზინსექცია, დერატიზაცია).

2.19. შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება, ვენტილაცია და უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისთვის, მათ შორის სსსმ მოსწავლეებისთვის;

მუხლი 3. დასკვნითი დებულება

3.1. სკოლის მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმათა დაცვის კონტროლი ევალება სკოლის მნეს;

3.2. წინამდებარე წესს ამტკიცებს სკოლის დირექტორი ბრძანების გამოცემის გზით;

3.3. ცვლილებების და დამატებების განხორციელება შესაძლებელია 3.2. პუნქტის მიხედვით.